მიმღები მშობლების დამოკიდებულება მინდობითი აღზრდისადმი და მათი მოტივაციები

ლია ძნელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა - სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მინდობითი აღზრდის არსი და მიმღები მშობლების დამოკიდებულება აღიშნული საკითხისამი. ამ ნაშრომის მიზანია შეისწავლოს მიმღები მშობლების მოტივაციები და საჭიროებები. ნაშრომის ფარგლებში ჩატრებული კვლევა წარმოადგენს მცდელობას, ხელი შეუწყოს მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვთა მიმღები მშობლების მოტივაციების, აგრეთვე მათი საჭიროებების კომუნიკაციას ხელისუფლების სოციალური სფეროს ხელმძღვანელობასა და ფართო საზოგადოებასთან. კვლევის ჩატარების მიზანი იყო მინდობით აღზრდაში არსებული საჭიროებების გამოვლენა, მათი იდენტი-ფიცირების გზით ამ პრობლემათა დაკმაყოფილების მიმართულებით მუშაობის დაწყება და ბავშვზე ზრუნვის სისტემაში მუდმივი ორმხრივი კომუნიკაციის და-ნერგვა, რაც, ჩემი აზრით ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების გამოვლენას.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში ინფორმაცია მოპოვებულ იქნა რუსთავის რაიონის მიმღები მშობლებისგან. კვლევის შედეგად გამოვლინდა მინდობით აღზრდაში არსებული მთელი რიგი საჭიროებები, რომლებიც გაერთიანებისა და დაჯგუფების შედეგად მოიცავს სისტემურ/სტრუქტურულ, ადმინისტრაციულ, ჯანდაცვის, განათლების, ფინანსურ შესაძლებლობების განვითარებასა და არამატერიალური დახმარების თემატურ სფეროებს.

მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, გაანალიზებისა და სინთეზის შედეგად შემუშავდა რიგი რეკომენდაციები მინდობითი აღზრდის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად წაადგება სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და მოქმედი სერვისების გაუმჯობესება.